საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური
ქ.თბილისის
რეგიონალური ცენტრი
(საგადასახადო ინსპექცია)

ქ. თბილისი „2" მარტი 2009წ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№18733/002-2/9-298-ა(ა)იპ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქველმოქმედო სოციალური კავშირი „თანადგომა"-ს რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 8 მაისის №419 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

განხორციელდეს ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქველმოქმედო სოციალური კავშირი „თანადგომა"-ს რეგისტრაციის მონაცემებში, რომელიც რეგისტრირებულია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 01.02.2001 რეგ №2/9-298 (ს/ნ 202173593)

გატარდეს რეესტრში ცვლილების შემდეგი მონაცემები, კერძოდ: გამგეობის შემადგენლობაში არჩეულ იქნას რევაზ ცისკაძე (პირადი №01001018903).

გამგეობის თავმჯდომარე, ლია მირზაშვილი, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიენიჭოს ახალ თავმჯდომარეს, რევაზ ცისკაძეს.

დანარჩენი სარეგისტრაციო მონაცემები დარცეს უცვლელი.

საფუძველი: საერთო კრების ოქმი №10 (18.02.2009)

დაევალოს რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მომსახურების სამმართველოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის განყოფილებას უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილების მონაცემების რეესტრში შეტანა.

რეგიონალური ცენტრის უფროსი

(მოადგილე, უფლებამოსილი პირი) (ხელმოწერა)